წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N1

ქ.წალენჯიხა 06 იანვარი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , მალხაზ ფიფია, ლევან შელია, დავით ჭიჭინაძე, კახაბერ ციმინტია

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილეები გიორგი ლუკავა და თენგიზ ფიფია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:25_სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრისN60 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია, მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1 ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრისN60 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი ერთი -კახაბერ ციმინტია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N1) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**